პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 246 (7307)

1982 წ. 25 დეკემბერი, შაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი)

ძვირფასო ამხანაგებო! იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მოხსენება პარტიის ეროვნული პოლიტიკის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობისათვის ბრძოლის მკაფიო და კონკრეტული პროგრამაა.

მარადიულია ჩვენი კავშირი, რამეთუ იგი სოციალისტურია. ნებაყოფლობითია იგი, რამეთუ მისი საფუძველია უმაღლესი დემოკრატიული პრინციპები, კაცობრიობის ჰუმანისტური იდეალები. ამასთან ნებაყოფლობა გულისხმობს ურთიერთმოვალეობასაც, ხოლო ურთიერთმოვალეობა — დისციპლინას. ამით გამოიხატება ჩვენი კავშირის ურღვეობა.

სოციალისტური დისციპლინა დემოკრატიული კატეგორიაა. დისციპლინა და ორგანიზაცია ნებაყოფლობისა და დემოკრატიზმის ფარია, ფართო დემოკრატიზმისა და მასების შემოქმედების გარეშე კი შეგნებული დისციპლინა არ არსებობს.

ათი წლის წინათ ამ ტრიბუნიდან პირობა დავდეთ, რომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საფუძველზე ბოლოს მოვუღებდით ჩამორჩენას და გავზრდიდით რესპუბლიკის წილს ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

მთელი ამ წლების მანძილზე რესპუბლიკის ცხოვრებას წითელ ზოლად გასდევდა ზრუნვა საბჭოთა სამშობლოს წინაშე ჩვენი ხალხის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

ახლა ერთგვარი სიამაყის გრძნობით მოგახსენებთ: განვლილი ათწლეულის ყოველი წელი საბჭოთა საქართველოსათვის წითელდროშოვანი იყო. ამ ხნის მანძილზე გაორკეცდა ეროვნული შემოსავლის წარმოება და სამრეწველო პოტენციალი, ერთიორად გაიზარდა ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა. არც ამ დღევანდელ ზეიმზე მოვსულვართ ხელცარიელი — წარმატებით სრულდება ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმები. (ტაში).

რესპუბლიკაში შექმნილია დისციპლინის მართვის ერთიანი სისტემა, ცენტრიდან მოყოლებული და შრომითი კოლექტივებით დამთავრებული. ჩვენი ღრმა რწმენით, დისციპლინა არა მარტო ზნეობრივი, არამედ მატერიალური კატეგორიაცაა. დისციპლინა უზრუნველყოფს დამატებითს პროდუქციას, მაღალ შრომის ნაყოფიერებასა და რენტაბელობას, ხელფასის ზრდასა და საყოველთაო კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ამავე დროს გვაქვს ბევრი ნაკლი, ხარვეზი, პრობლემა. და სწორედ სუბიექტურ ფაქტორებში, უწინარეს ყოვლისა — მასების ინიციატივისა და შემოქმედების ბაზაზე დისციპლინის განმტკიცებაში, პასუხისმგებლობის ამაღლებაში, ვხედავთ ჩვენი ზრდის კოლოსალურ რეზერვებს, ნაკლოვანებათა დაძლევის გზებს.

ამხანაგებო! ოდითგანვე პოლიტიკოსები ამტკიცებდნენ: „ეროვნული საკითხი გადაუწყვეტელიაო". დღეს კი სსრ კავშირის შექმნას იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა „მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარდამტეხი მომენტი" უწოდა.

ამ ფრთოსან ფრაზაში ჩაქსოვილია პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, სსრ კავშირის ისტორიული მნიშვნელობის ყოვლისმომცველი აზრი.

ოცნებიდან თეორიამდე, თეორიიდან პრაქტიკამდე, პრაქტიკიდან ცხოვრების ნორმამდე — ასეთია განვლილი გზა.

მაგრამ მტრები სულ სხვა რამეს ამტკიცებენ. იმპერიალისტები, ოკეანისგაღმელი სოვეტოლოგები, ყველა ჯურის პოლიტოლოგები „წინასწარმეტყველებენ" ჩვენი კავშირის დაშლას. იმ ბანაკში განსაკუთრებულ „ზრუნვას" იჩენენ ქართველებისათვის, ლაყბობენ ეგრეთწოდებულ „რუსიფიკაციაზე", ქართული ენის „შევიწროებაზე", მშობლიური კულტურის როლის დაკნინებაზე.

მოვიყვან მხოლოდ ორ ფაქტს. ბავშვმა „არათუ უნდა ისწავლოს ინგლისურად ლაპარაკი, მან არც ერთ სხვა ენაზე აღარ უნდა ილაპარაკოსო". ეს ნათქვამია ამერიკაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა სხვა ენებზე მოლაპარაკე ათ მილიონობით ადამიანი. „მათ სამუდამოდ უნდა მოიცილონ წინაპართა ქურქი, რათა აღარასოდეს გაიხსენონ იგი". ასე მკვიდრდებოდა ამერიკული ცხოვრების წესი.

ერთ დროს შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა სამ მილიონამდე აბორიგენი. საყოველთაოდ ცნობილია მათი ტრაგიკული ბედი.

ვინ ეკითხება ამ ვაჟბატონებს ზრუნვას საქართველოსათვის, სადაც ყოველ 10 ათას მოსახლეზე უფრო მეტი სპეციალისტია, ვიდრე სადმე მსოფლიოში, და მათ შორის უმრავლესობამ უმაღლესი განათლება მშობლიურ ენაზე მიიღო, სადაც სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მიმდინარეობს შვიდ ენაზე და სადაც ახალგაზრდობა განსაკუთრებული სიყვარულით ეუფლება რუსულ ენასაც, სადაც ათობით ენაზე გამოდის გაზეთები, ჟურნალები, წიგნები?! ჩვენი ძველი ხალხის ისტორიას არ ახსოვს ეროვნული კულტურისა და მეცნიერების ისეთი აღმაფრენა, როგორიც საბჭოთა წლებში მოხდა. ინტერნაციონალურ ოჯახში მცირერიცხოვანი ხალხების თავისთავადს განვითარებას უზრუნველყოფენ ავტონომიური ფორმირებანი: აფხაზეთის ასს რესპუბლიკა, აჭარის ასს რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ორასი წლის წინათ მილიონზე ნაკლები ვიყავით ქართველები. დღეს ჩვენ ხუთმილიონიანი რესპუბლიკა ვართ.

ორი სამყარო — ორი პოლუსი, იქ — ამერიკელ აბორიგენთა და ახალმოშენეთა ბედი. აქ — ქართველთა, აფხაზთა, ოსთა და სხვათა მაგალითი. (ტაში).

იქნებ, ჩვენმა კრიტიკოსებმა არ იციან, თუ რა კოლოსალურ ხარჯებს იღებს საბჭოთა სახელმწიფო თითოეული ერისა და ეროვნების იდეალური თვითგამოხატვისათვის? არა, იციან! მაგრამ არ სურთ აღიარონ სხვა რამ: როცა საქმე ეხება ეროვნულ ფენომენს — ენას, კულტურას, ხალხის სულს, კომუნისტები ამას ფულით როდი ანგარიშობენ. ეს ღირებულებანი ყოველგვარ კაპიტალზე ძვირფასია! ასეთი მიდგომა ჩვენი ერთიანობის, ურთიერთნდობის, ინტერნაციონალიზმის, ჩვენი დიადი კავშირის კიდევ ერთი საიმედო გარანტია.

დღეს საბჭოთა საქართველო, ისევე როგორც ყველა რესპუბლიკა, მსოფლიო ცივილიზაციის დონეზეა. როცა თვალს ავლებს ჩვენს მრავალტანჯულ ისტორიას, ყოველ ქართველს ებადება კითხვა: როგორ გადავრჩით? გადავრჩით იმიტომ, რომ დიდ რუს ხალხთან ერთად ვიყავით.

გაისად აღვნიშნავთ რუსეთთან დამოყვრების სახელოვან 200 წლისთავს. რა ძალა იზიდავდა ქართველებს ჩრდილოელ მეზობლებთან ძმობისაკენ? იმედი, რომ თავს დააღწევდა ფიზიკურ და სულიერ განადგურებას? დიახ, მაგრამ არა მარტო ეს! მთავარი, რაც საქართველოს რუსეთისაკენ იზიდავდა, — ეს იყო თვით რუსი ხალხის ბუნება; მისი უნივერსალური ნიჭი, როგორც თვით ლომონოსოვი; მისი ელვარე ტალანტი, როგორც თვით პუშკინი; მისი სინდისი, ზნეობრივი სიბრძნე, როგორც ტოლსტოი; მისი თავდადება, მზადყოფნა გასწიროს სიცოცხლე სოციალური სამართლიანობისათვის — ყოველივე ის, რაც თან მოიტანეს დეკაბრისტებმა, რევოლუციონერმა დემოკრატებმა და საბოლოო ანგარიშით — ბოლშევიკმა-ლენინელებმა; მისი შორსმჭვრეტელობა და კლასობრივი თვითშეგნება, მისი რევოლუციური სული, მისი გენია, დიდი ლენინის გენია. (ტაში).

მხოლოდ ასეთ ხალხს, ბელად ხალხს, შეეძლო მოეხდინა სოციალისტური რევოლუცია, პარტიის ნებით შეექმნა ძმობისა და თანასწორუფლებიანობის უძლეველი სამყარო.

ჩვენს ნათელ დღესასწაულზე, გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსთა და ქართველთა მეგობრობის მანიფესტის 200 წლისთავის წინ — წილად მხვდა უმაღლესი პატივი დღევანდელი საქართველოს — ჩვენი კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი რესპუბლიკის სახელით, ჩვენს გმირ წინაპართა სახელით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს რუსთა და ქართველთა ძმობას, გულის სიღრმიდან ამომავალი მადლობის სიტყვები ვუთხრა დიდ რუსეთს იმისათვის, რომ საქართველო გადაარჩინა, რომ იგი დღეს ყვავის და კაშკაშებს საბჭოთა ხალხების თანავარსკვლავედში.

პუშკინი გავიხსენოთ და ვთქვათ: მეგობრებო, მშვენიერია ჩვენი კავშირი!

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! (ხანგრძლივი ტაში).

28 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდა სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ანატოლი კარპოვი.

თბილისის აეროპორტში მას დახვდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციისა და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დამხვდურებმა საპატიო სტუმარს გულითადი შეხვედრა მოუწყვეს, პიონერებმა კი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

გუშინ ა. კარპოვი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტუმარი იყო, დღეს კი 16 საათზე ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს შეხვდება.

მსოფლიო ჩემპიონი ეწვევა აგრეთვე, ქუთაისსა და ზუგდიდს.

სურათზე: საუბრობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე (მარჯვნივ) და ა. კარპოვი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ნაუგებლად...

ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე

მოსკოვში დამთავრდა ჰოკეისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. ტურნირში, რომელიც მეთექვსმეტედ გათამაშდა, მონაწილეობდნენ 5 ქვეყნის გუნდები. გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა. ბოლო მატჩი მათ ჩეხოსლოვაკიელებს მოუგეს (9:4) და დაუმარცხებლად დაიკავეს პირველი ადგილი.

გთავაზობთ ტურნირის საბოლოო ცხრილს:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	4	0	0	26—13	8
ფინეთი	2	0	2	13—21	4
ჩეხოსლოვაკია	2	0	2	22—18	4
შვეცია	1	0	3	18—27	2
გფრ	1	0	3	16—26	2

ტურნირის საუკეთესო მოთამაშისათვის განკუთვნილი პრიზები გადაეცათ მეკარე კ. ტაკოს (ფინეთი), მცველ ა. პლანოვსკის (ჩეხოსლოვაკია), თავდამსხმელებს ვ. კრუტოვსა და პ. რიხტერს (ჩეხოსლოვაკია).

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა გ. საბეცკიმ „ოქროს ყვანჯი" გადასცა 1981-1982 წლის ევროპის საუკეთესო ჰოკეისტს საბჭოთა მეკარე ვ. ტრეტიაკს.

მკვეთრად ავამაღლოთ საშემსრულებლო დისციპლინა, ყველა მუშაკის პირადი პასუხისმგებლობა!

რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

22 დეკემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა თავმჯდომარეების, სპორტული სკოლების დირექტორების და სპორტული ბაზების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **რ. გოგლიძემ.**

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილებიდან გამომდინარე რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების უახლოესი ამოცანების თაობაზე ისაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვ. შუბლაძემ.**

რესპუბლიკაში ჭიდაობის დღევანდელი მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ დამსწრეთ მოუთხრო საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. ქველიაშვილმა.**

საქართველოს 1983 წლის ზაზაფხულო სპარტაკიადის ჩატარებისა და დებულებაში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა სპორტულ-მეთოდური სამმართველოს უფროსი **დ. კაპცოვი.**

ინფორმაციებით გამოვიდნენ აგრეთვე: საქართველოს სპორტკომიტეტის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი **ჟ. მანჯგალაძე,** საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსი **ვ. ლომაძე,** საქართველოს სპორტკომიტეტის მშთ განყოფილების უფროსი **ლ. ყურაშვილი** და სხვ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **რ. გოგლიძემ.**

თათბირზე ყურადღება გამახვილდა ზოგიერთი რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე, განსაკუთრებით ხაზგასმით ითქვა ახალციხის რაიონზე, რომლის საკითხი ამ ცოტა ხნის წინ იქნა განხილული საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი რესპუბლიკური ოპერატიული შტაბის სხდომაზე.

თათბირის სხდომებს შორის შესვენებისას ჩვენ შევხვდით ახალციხის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს **მიხეილ იაძეს,** რომელმაც გვითხრა:

— სპორტული ბაზების მოსაწყობად ჯერ კიდევ 1976 წელს გამოგვიყვეს 20000 მანეთი. მოეწყო მარტივი ტიპის მოედანი სარბენი ბილიკებით, მძლეოსნური სექტორები, შეკეთდა სტადიონის ტრიბუნები, მაგრამ ეს ყველაფერი ისე უხარისხოდ გაკეთდა, რომ სულ მალე მწყობრიდან გამოვიდა. ორი წლის შემდეგ 7000 მანეთის ღირებულების სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, ხარჯთაღრიცხვაც შედგა, ბაზების შეკეთება დაევალა ჯერ მოძრავ-მექანიზებულ კოლონას, ხოლო შემდეგ — სამშენებლო-სარემონტო კანტორას. გავიდა რამდენიმე წელიწადი, მაგრამ, როგორც იტყვიან, თითი თითზე არავის დაუკარებია. რამდენიმე წლის წინ საცურაო აუზის შესაკეთებლადაც „გაისარჯნენ". მაგრამ გასულ წელს სანეპიდსადგურმა შეამოწმა ორივე აუზი (ახალციხესა და სოფელ აწყურში) და იმის გამო, რომ ქლორატორები არ იყო დამონტაჟებული, მათი მუშაობა მიზანშეწონილად არა ცნო. ახლა აუზები უმოქმედოდაა. გარდა სხვა პრობლემებისა, ჩვენი აუზებისთვის ცხელი წყლით მომარაგებაც სიძნელეს წარმოადგენს. ამიტომ კარგი იქნება, თუ სოფელ წინობანში, სადაც ბუნებრივი ცხელი წყალი ამოდის და ახლა აბანოს აშენებენ, საცურაო აუზსაც მოვაწყობთ.

ახალციხეში სექტემბრამდე ტარდებოდა რაიონის პირველობა ჭადრაკში, ახლა კი, იმის გამო, რომ შენობა ძველია და კედლებს ბზარები აქვს შეყენებული, იქ მომეცადინე ჯგუფებმა ბავშვთა სპორტულ სკოლაში გადაინაცვლეს.

თუმცა, რაც მოგახსენეთ, ამის თაობაზე უკვე იყო ლაპარაკი „ლელოს" ფურცლებზე. ეს საკითხი სულ მალე განიხილება რაიონის პარტიული კომიტეტისა და აღმასკომის სპეციალურ სხდომაზე, და, ვფიქრობთ, საჭირო დასკვნებიც გაკეთდება.

• • •

შესვენებისას რამდენიმე კითხვით მივმართეთ, აგრეთვე, მესტიის რაიონის ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს **ვ. რატიანს.**

● **ამ თათბირზე გამოითქვა ბევრი საყურადღებო აზრი, შენიშვნა, კრიტიკა თუ წინადადება, რომლებიც მეტნაკლებად ეხება ყველა უწყებას, სპორტსაზოგადოებას, ქალაქს, რაიონს, ოლქს, მთლიანად რესპუბლიკას. გამონაკლისი არც მესტიის რაიონია...**

— რა თქმა უნდა! ეს თათბირი იმისთვისაა მოწოდებული, რომ საქართველოს სპორტსმენებმა, მათმა მესვეურებმა მკვეთრად ავამაღლოთ პერსონალური პასუხისმგებლობა, მოკლე ხანში დავძლიოთ ჩამორჩენა. თათბირზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნა თუ რჩევა-დარიგება, ვფიქრობ, ძალიან დაგვეხმარება პრაქტიკულ საქმიანობაში. თათბირზე სამართლიანად აღინიშნა, რომ ბევრ ჩვენგანს პატრიოტიზმი ღალატობს, რომ ამ გრძნობას სპორტსმენებს სათანადოდ ვერ ვუღვივებთ. პოდა, რასაც ვთესავთ, იმას ვიმკით.

● **უკანასკნელ წლებში თქვენს რაიონში ბევრი რამ გაკეთდა სპორტის განვითარებისთვის. გამოჩნდნენ პერსპექტიული სპორტსმენები თქვენი რაიონისთვის ისეთ არატრადიციულ სახეობებში, როგორიცაა ძიუდო და კრივი. სამწუხაროდ, მესტიის რაიონის ბარე ათამდე სპორტსმენი ახლა სხვა რესპუბლიკების სახელით გამოდის და წარმატებითაც. როგორც თათბირზე ითქვა, ასეთი სპორტსმენების სახით რესპუბლიკამ დაკარგა არა მხოლოდ სპორტსმენი, არამედ მოქალაქე.**

— ჭეშმარიტად ასეა. ის სპორტსმენები ჩვენს რესპუბლიკას დღესდღეობით არაფერში არგიან. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ოდესელი ლერი ნაკანი, ფერგანელი ეროსი მარგიანი და სხვები ქართველები არიან. ნაკანი III საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი და ევროპის პირველობაზე გამარჯვებული ძიუდოისტი გახლავთ, ხოლო მარგიანი ევროპის მოკრივეთა პირველობის პრიზიორია. ერთი სიტყვით, „სახელი ჩვენია, სახრავი — სხვისი". პერსპექტიული სპორტსმენების მიმართ მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა, ვფიქრობ, მათ არ დავკარგავდით. ისინი დიდ სამსახურს გაგვიწევდნენ კარს მომდგარ საკავშირო ხალხთა VIII სპარტაკიადაზეც.

● **თათბირზე საუბარი იყო მშთ კომპლექსის პრობლემაზეც. აშკარაა, რომ მთელი რიგი რაიონების სტატისტიკურ ანგარიშებში მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა რაოდენობა ხელოვნურადაა გაზრდილი. აბა, სად უნდა ჩააბაროს კაცმა ნორმატივები, ვთქვათ, ცურვაში ან ტყვიის სროლაში, თუ არ იქნება საცურაო აუზი, ზღვა, ტბა, მდორე მდინარე ან ტირი. ამ სახეობებში ბაზების გარეშე კიდევ უფრო ძნელია ნორმატივების ჩამბარებელთა მასობრივად მომზადება.**

— სამწუხაროდ, რაიონში არც ჩვენ გვაქვს საცურაო აუზი და ტირი. ამ სახეობებში მასობრივად ვერც ჩვენ ვაბარებთ ნორმატივებს. წინათ არც გვთხოვდნენ ამ სახეობებში ნორმატივების ჩაბარებას... სოფელ მულახში გაბლიანის სახელობის სპორტსკოლასთან მარტივი ტიპის აუზის მშენებლობა დავიწყეთ, მისი დამთავრება ძალიან გაგვიჭიანურდა. როცა დამთავრდება, რაიონში ცურვის მასობრივად შესწავლის საქმე გაუმჯობესდება. დღეს სირცხვილი და დანაშაულია ადამიანი წყალში ცურვის უცოდინარობის გამო დაიხრჩოს.

● **რაკი ბაზებზე ჩამოვარდა სიტყვა, ხომ არ მოგილოცოთ მესტიაში საჭიდაო დარბაზის მშენებლობის დამთავრება?**

— მშენებლობა ძალზე ნელი ტემპით რომ არ წასულიყო, იმ დარბაზის მშენებლობის დამთავრებას დიდი ხნის წინათაც მოგვილოცავდით, მაგრამ მშენებლებს ხან ერთი მასალით ვერ ამარაგებდნენ დროულად და ხან მეორეთი. ახლა შენობა გადახურულია. დასამთავრებელია სანტექნიკური სამუშაოები, მოსაწყობია მაყურებელთა ტრიბუნები, დასაგებია იატაკი, ასე რომ, მილოცვას ალბათ გაისად გაზაფხულზე მივიღებთ. წლეულს მოთხილამურეთათვის აწვალის მთაზე დავიწყეთ 1600-მეტრიანი საბაგირო გზის ქვედა სადგურის მშენებლობა. უამინდობის გამო შეჩერებული მშენებლობა გაზაფხულზე განახლდება. დავაპროექტეთ 1000-მეტრიანი საბუქსირო გზაც. მისი მშენებლობაც გაზაფხულზე დაიწყება. სოფელ იფარში კომკავშირელებმა, იმ ტრადიციის მიხედვით, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მესტიის რაიონის კომკავშირელთა თავკაცმა, ტრაგიკულად დაღუპულმა ბორის კახიანმა, უსასყიდლოდ ააშენეს სპორტული დარბაზი, სადაც იანვარში გაიხსნება საქართველოს განათლების სამინისტროსთან დაქვემდებარებული სპორტსკოლა. გაისად მწყობრში ჩადგება ძიუდოისტთა მწვრთნელის გაიოზ ჩართოლანისა და მისი აღსაზრდელების მიერ აგვე უსასყიდლოდ აგებული სპორტული დარბაზი ძიუდოისტებისთვის. შენობის კედლები უკვე ამოყვანილია და მალე გადაიხურება კიდეც. თუნუქიც მზადაა. ამ ორსართულიანი ბაზის სარბიელის ზომა 11X25 მეტრი იქნება.

● **თქვენ მთამსვლელი ბრძანდებით. საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედალიც გაქვთ მოპოვებული და, ალბათ, ალპინისტების ყველაზე მხურვალე გულშემატკივარიც თქვენ უნდა იყოთ, მაგრამ მესტიის რაიონში უკანასკნელ წლებში სწორედ სპორტის ამ სახეობის განვითარება ჩამორჩა.**

— მართალს ბრძანებთ. მესტიელ მთამსვლელებს ყველაზე მდიდარი ტრადიციები აქვთ, მაგრამ დღესდღეობით იგი ისე ველარ მდიდრდება, როგორც ეს ჩვენს რაიონს შეშვენის. ამას ბევრი მიზეზი აქვს. უპირველესი საჭურველისა და თანხების უქონლობაა. მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებდა ის ამბავი, თუ თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ალპინისტური სპორტსკოლა რესპუბლიკურ სპორტსკოლად გადაკეთდება და იგი ჩვენთან თავის ფილიალს გახსნის. ჩვენს რაიონში სპორტის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს ისიც, თუ მაღაზიებში მეტი რაოდენობით შემოვა სპორტული ინვენტარი.

ნ. ჯოხარიძე,
ა. გურასაშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სხდომათა დარბაზში; თათბირ-სემინარის მონაწილეთა ერთი ჯგუფი შესვენების დროს, მარცხნიდან: ა. ჯალალი (კასპი), ვ. მერკვილაძე (ტყიბული), თ. მიქიაშვილი (თბილისი), გ. პაპიძე (ჭიათურა) და ე. მარგიანი (ბოლნისი).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

მთავარი ყურადღება — ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს

გაიმართა „ტრუდის" საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „განთიადის" რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი.

პლენუმზე განიხილეს საკითხი: სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის სექტემბრის დადგენილების საქართველოს კპ ცკ-სა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის თებერვლის დადგენილების „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ" შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სსრ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმო-დაწესებულებათა ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

მოხსენებით გამოვიდა „განთიადის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ა. გიორგობიანი,** რომელმაც, აღნიშნა რა საზოგადოების საბჭოს მიერ ამ მიმართებით გატარებული ღონისძიების შესახებ, ყურადღება გაამახვილა ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებზე და გადაუჭრელ ამოცანებზე.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. მასში მონაწილეობა მიიღეს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ლაკიამ,** „განთიადის" თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. მდინარაძემ,** გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორის მოადგილემ **ნ. დვალმა,** სპორტკლუბ „ფეიქრის" თავმჯდომარემ **რ. გოგიამ,** „განთიადის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ი. ხანგულიამ,** ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა **თ. ბოჭორიშვილმა,** „განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **მ. კვაჭაძემ,** ნსს „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ი. დერევიაგინმა.**

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის ორგანიზატორულ-მასობრივი, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის საუკეთესოდ წარმართვისთვის 1981 წელს გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისთვის პროფკავშირთა ნსს საკავშირო საბჭოს **გარდამავალი წითელი დროშებით** დაჯილდოვდნენ: „განთიადის" რესპუბლიკური საბჭო, „განთიადის" თბილისის საქალაქო საბჭო, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" სპორტკლუბი „ივერია".

პროფკავშირთა ნსს საკავშირო საბჭოს **საპატიო მედლებით** დაჯილდოვდნენ „განთიადის" ფოთის საქალაქო, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის საოლქო, მახარაძისა და სამტრედიის რაიონული საბჭოები, ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის აბრეშუმის გაერთიანებისა და კასპის ქარხანა „ელექტროაპარატის" ფიზკულტურული კოლექტივები, სპორტკლუბი „მეგობრობა".

სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში

ედუარდ ვინოკუროვი — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი — დიდი ავტორიტეტია ფარიკაობაში. სპორტის ამ სახეობის მოყვარულები მას იცნობენ როგორც დაუმარცხებელ მუშკეტერსა და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს. გუშინწინ, საკავშირო თასის გათამაშების პირველ დღეს, სწორედ ვინოკუროვმა იმსაჯა ყველა საპასუხისმგებლო ორთაბრძოლა და ექსპრეს-კომენტარიც მას ვთხოვეთ:

„— ვერაფერს იტყვი — „ლაპიცკიმ ღირსეულად გაიმარჯვა. არადა, ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ ძლიერ კამპანიაში თასს 20 წლის მოსკოველი მოფარიკავე დაეუფლებოდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ასაკის, მიუხედავად, ლაპიცკი საქმლო ბრძოლა. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ნაკრებში აფციაურის პოზიციები არ შერყეულა“.

...თბილისი, „ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსი. კარგა ხნის შემდეგ ჩვენს დედაქალაქს კვლავ ესტუმრნენ ფარიკაობის გამოჩენილი ოსტატები. საბჭოთა კავშირის თასის 24-ე გათამაშებაში ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი მოფარიკავე მონაწილეობს. როგორც წესი, შეჯიბრება რაპირისტ ვაჟთა გამოსვლით დაიწყო. საპატიო პრიზისთვის ბრძოლაში 72 მუშკეტერი ჩაება, მათ შორის — ჩვენი რესპუბლიკის 13 წარმომადგენელი. ბუნებრივია, გულშემატკივრები განსაკუთრებულ იმედებს სწორედ ამ სახეობაზე ამყარებდნენ და ეს იმედები, პირველ ყოვლისა, ვლადიმერ აფციაურს უკავშირდებოდა.

სიურპრიზები

კმაოდ გამოცდილი სპორტსმენია და აქამდეც არაერთი სახელმოხვეჭილი მუშკეტერი დაუმარცხებია. ახალგაზრდებიდან სხვამ ვერავინ გამოიჩინა თავი. იმედი მქონდა, რომ ლენინგრადელები— ჩემი თანაქალაქელები შევცოვი და კლიუშინი ფინალურ ტურნირში გავიდოდნენ, მაგრამ ფინალში კი არა, 32 საუკეთესოთა შორისაც ვერ მოხვდნენ. სპეციალისტებისთვის მოულოდნელი იყო ბაქოელი კორეცკის სტაბილური გამოსვლა. ასევე მოულოდნელი იყო რომანკოვის მეხუთე ადგილი... ჰო, აფციაური სულ დამავიწყდა. ფარიკაობა რომში, მსოფლიო ჩემპიონატზე; მებრძოლის საუკეთესო თვისებები გამოავლინა და ყველაზე საპასუხისმგებლო შეხვედრები მოიგო. ეტყობა, აფციაური რიგიანად ვერ მოემზადა თასის გათამაშებისთვის, თორემ უფრო მაღალი ადგილისთვის შე-

როცა პირველი და მეორე ეტაპის შეხვედრები დამთავრდა, სარბიელს 32 სპორტსმენი შემორჩა. აქედან უკვე ძალაში შევიდა ახალი წესი — ორი წაგების შემდეგ მოფარიკავე ეთიშება ბრძოლას. სამწუხაროდ, აფციაურმა სწორედ ფინალის მისადგომებთან წაიფორხილა — ერთი შეხვედრის წაგების შემდეგ ეგრეთწოდებულ დამამშვიდებელ ჯგუფში მოხვდა და ბოლო ორთაბრძოლაში მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. აქ მისი მეტოქე მოსკოველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ ლაპიცკი იყო. პირველი ჩხვლეტა აფციაურმა მიაყენა მეტოქეს, მაგრამ შემდეგ დათმო პოზიციები, დამარცხდა (5:10) და ფინალს მიღმა დარჩა. მისი ბედი გაიზიარა გია აბაშიძემაც, დანარჩენი ქართველი მოფარიკავეები კი უფრო ადრე გამოეთიშნენ შეჯიბრებას.



უკანასკნელ პერიოდში მოფარიკავეთა ფინალური შეხვედრები ახლებურად ტარდება. დასკვნით ეტაპზე 6 კაცის ნაცვლად რვა სპორტსმენი გადის, ამასთან, ისინი ოლიმპიური სისტემით ხვდებიან ერთმანეთს. თუ ადრე სპორტსმენი წაგების შემთხვევაშიც არ კარგავდა საბოლოო გამარჯვების შანსს, ახლა ერთი მარცხი და პირველ ადგილზე ფიქრს უნდა გამოეთხოვო. ამიტომ ფინალები სანახაობრივად ძალზე საინტერესოა და ყოველგვარი შელავათებიც გამორიცხულია.

აფციაურთან გამარჯვების შემდეგ ლაპიცკი საგანგებო ყურადღების ქვეშ მოექცა. მეოთხედფინალში მის წინ დადგა რომის მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, მინსკელი ალექსანდრე რომანკოვი. დანარჩენი ფინალისტები ასე დაწყვილდნენ: კორეცკი (აზერბაიჯანი) — მარტინოვი (მოსკოვი), რუზიევი (უზბეკეთი) — ეგოროვი (რსფსრ), კოსენკო (უკრაინა) — ბამბინდრა (უკრაინა).

ლაპიცკიმ ანგარიშით 10:8 დაამარცხა თავისი სახელგანთქმული მეტოქე, ნახევარფინალში კი დამაჯერებლად (10:4) მოუგო კოსენკოს და მთავარ ფინალში გავიდა. ფინალისკენ მიმავალი გზა გაცილებით ძნელი გამოდგა ტაშკენტელ საბირ რუზიევისთვის, მაგრამ გამოცდილმა მოფარიკავემ შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა — ჯერ ეგოროვს აჯობა (12:11), შემდეგ კორეცკის (10:6).

როცა სარბიელზე ფინალურ წყვილს უხმეს, აშკარა გახდა, რომ მაყურებელთა სიმპათიები ლაპიცკის მხარეს იყო (მანამდე გაიმართა კორეცკი —კოსენკოს შეხვედრა III ადგილისთვის. გაიმარჯვა კორეცკიმ). მოსკოველმა მოფარიკავემ ეს ორთაბრძოლაც საუცხოოდ ჩაატარა და პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საფარიკაო ბილიკზე არიან მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, მინსკელი ა. რომანკოვი (მარჯვნივ) და მოსკოველი ვ. ლაპიცკი; სსრ კავშირის თასის მფლობელი ვ. ლაპიცკი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

● ფეხბურთი

სპარტაკიადაზე ისპარეზებენ

სსრ კავშირის ხალხთა 1983 წლის სპარტაკიადის პროგრამაში ჩართულია ფეხბურთიც. გათამაშებაში გამოვლენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები, ფეხბურთელთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 20 წელს.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში მოეწყო წილისყრა, სადაც დადგინდა სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირის ჯგუფები:

მოსკოვი — აქ ითამაშებენ მოსკოვის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და რსფსრ-ს გუნდები;

რიაზანი — უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი;

ტულა — ბელორუსია, ლატვია, ესტონეთი, თურქმენეთი, ლიტვა;

ივანოვო — საქართველო, ლენინგრადი, ტაჯიკეთი, მოლდავეთი.

შეჯიბრებები დაიწყება 12 ივლისს. პირველ ეტაპზე, ქვეჯგუფებში, გათამაშება ეწყობა წრიული სისტემით, ყოველ ქვეჯგუფში გამოვლინდება 2-2 საუკეთესო გუნდი, ეს გუნდები შექმნიან 2 ნახევარფინალურ ქვეჯგუფს, რომელთა მატჩები ჩატარდება რიაზანსა და მოსკოვში. ნახევარფინალებში გამარჯვებულები ერთმანეთთან ითამაშებენ საერთო პირველი ადგილისა და ოქროს მედლისთვის. ნახევარფინალებში მეორე ადგილებზე გასული გუნდები იბრძოლებენ ბრინჯაოს მედლისთვის.

სპარტაკიადაში გამარჯვებული გუნდის წევრები მიიღებენ სპორტის ოსტატის წოდებას, ხოლო II და III ადგილებზე გასული გუნდების სპორტსმენები — სპორტის ოსტატობის კანდიდატობას.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ I თანრიგის ფეხბურთელებს.

წილისყრა შედგა

სსრ კავშირის თასზე

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში მოეწყო საბჭოთა კავშირის 1983 წლის თასის გათამაშების წილისყრა უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებისთვის. წილისყრაში მონაწილეობდნენ იმ გუნდების უფროსი მწვრთნელები, რომლებიც მოსკოვში შეიკრიბნენ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „მსოფლიო ფეხბურთის განვითარების ტენდენციები და საბჭოთა ფეხბურთელთა მზადების ამოცანები 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის“.

სსრ კავშირის საფეხბურთო თასის პირველი ეტაპი გაიმართება 18-19 თებერვალს, მასში მონაწილეობას მიიღებენ I ლიგის გუნდები. შემდგომ ეტაპზე, მეთექვსმეტედფინალიდან, ბრძოლაში ჩაებმებიან უმაღლესი ლიგის გუნდები (გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ კიევის „დინამოსთვის“, რომელიც მონაწილეობს ევროპის ჩემპიონთა თასზე, კიეველები საკავშირო თასზე გამოვლენ მეოთხედფინალიდან).

პირველ ეტაპზე მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: ასკ (დონის როსტოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „გურია“ (ლანჩხუთი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი), „ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „პამირი“ (დუშანბე) — „როტორი“ (ვოლგოგრადი), „დაუგავა“ (რიგა) — „დინამო“ (კიროვი), „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „კუზბასი“ (კემეროვო), „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო), „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ-„კარპატი“ (ლვოვი), ასკ (ხაბაროვსკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი), „კუბანი“ (კრასნოდარი) — „დნეპრი“ (მოგილიოვი).

მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე, ყველა ეტაპზე წილისყრა მოეწყობა ხელახლა.

ფეხბურთში სსრ კავშირის 1983 წლის ჩემპიონატის პირველი მატჩები უმაღლეს ლიგაში გაიმართება 26 მარტს, პირველ ლიგაში — 9 აპრილს.

● ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონის წელი

ნიუ-იორკი. გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ მოჭადრაკეთა შეჯიბრებების შედეგების მიხედვით 1982 წელს „ანატოლი კარპოვის წელს“ უწოდებს და აღნიშნავს მსოფლიო ჩემპიონის მაღალ მიღწევებს.

„საბჭოთა ჩემპიონმა, — წერს იგი, — მოიპოვა სეზონის ოთხი ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი და რთული ტურნირის მთავარი პრიზები. კერძოდ, „ნიუ-იორკ პოსტი“ მიუთითებს კარპოვის დამაჯერებელ გამარჯვებას ტილბურგში (ჰოლანდია) და ხაზს უსვამს, რომ ეს ტურნირი წლეულს „ძალზე დაძაბული იყო“. გაზეთი აღნიშნავს, რომ მსოფლიო ჩემპიონმა დაამარცხა მსოფლიოს 5 წამყვანი დიდოსტატი და 0,5 ქულით გაუსწრო იან ტიმანს“. გაზეთის აზრით, ტურნირის სირთულესა და ბრძოლის სიმწვავეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბოლო ადგილი დაიკავა ისეთმა გამოჩენილმა დიდოსტატმა, როგორიცაა ბენტ ლარსენი, რომელმაც მხოლოდ ერთი პარტიის მოგება შეძლო და სამი ფრედ დაამთავრა. „ნიუ-იორკ პოსტი“ განსაკუთრებულად გამოყოფს იმ ფაქტს, რომ მსოფლიო ჩემპიონის ბრწყინვალე თამაშის წყალობით საბჭოთა ნაკრებმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია საჭადრაკო ოლიმპიადა-82-ში. (საკდესი).

ბრძოლა გამძაფრდა

თელავი, 24 დეკემბერი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). სსრ კავშირის ვაჟთა 50-ე ჩემპიონატზე (პირველი ლიგა) ოთხშაბათს მოჭადრაკეებმა გადადებული პარტიები დაამთავრეს.

ერმოლინსკიმ ამ დღეს მოუგო გურგენიძეს და წააგო უბილავასთან. მესამე პარტია ვასიუკოვთან დაუმთავრებელი დარჩა.

აგზამოვმა სამი პარტიიდან მხოლოდ ერთი დაასრულა: მოუგო შნეიდერს. პარტია ვაპანიანთან კვლავ ახლა უკვე აშკარად მოსაგებ პოზიციაში გადადო.

ანიკაევმა სძლია ცეშკოვსკის, ცეიტლინმა — პეტროსიანს, ხოლო ლუკინი და ზაიჩიკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გუშინ XV ტურში ზაიჩიკი დამარცხდა იუდასინთან. თბილისელმა ოსტატმა ისე ცუდად გაითამაშა დებიუტი, რომ მე-18 სვლაზე უკვე ხარისხი და ორი პაიკი აკლდა.

ლპუტიანმა მოუგო ჩეხოვს. დაზავდნენ ვაპანიანი — ცეშკოვსკი, ერმოლინსკი — ლუკინი. მწვავედ მიმდინარეობდა შნეიდერ—უბილავას შეხვედრა. უბილავამ მცირე უპირატესობაც მიიღო, მაგრამ ორმხრივ ცაიტნოტში ყაიმს დასჯერდა.

სამი პარტია გადაიდო. ყაიმია მოსალოდნელი გურგენიძე — ვასიუკოვის, ანიკაევ—ბაგიროვის პარტიებში. გორელოვს უპირატესობა აქვს პეტროსიანთან.

15 ტურის შემდეგ რ. ვაპანიანს 10,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ე. უბილავას, გ. ზაიჩიკს — 9,5-9,5, ლ. იუდასინს, ს. ლპუტიანს, ა. შნეიდერს — 9-9.

რ. თავარიანი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ახმილოვსკაია და ტალი

სოჭში დამთავრდა საჭადრაკო ფესტივალის — „როსია-82“-ის პროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო ტურნირები.

ქალთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა სოჭელმა დიდოსტატმა ელენა ახმილოვსკაიამ — 13-დან 11 ქულა. ვაჟთა ტურნირში ყველას აჯობა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა (რიგა) — 15-დან 10 ქულა.

ევროპის პირველობაზე

ბრონინგენში (ჰოლანდია) მიმდინარეობს ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში 14 მოჭადრაკე მონაწილეობს. სსრ კავშირიდან გამოდის ესტონელი ოსტატი იან ელვესტი.

3 ტურის შემდეგ ლიდერობს შარშანდელი ჩემპიონი დანიელი კ. ჰანსენი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. ელვესტს, ი. შტოლს (ჩეხოსლოვაკია) და მ. ბოსბომს (ჰოლანდია) 2,5-2,5 ქულა აქვთ.

სამი მატჩი, სამი გამარჯვება

თბილისში გრძელდება I ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო პირველობა. წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები: ქართველმა სტუდენტებმა 3 მატჩი გამართეს და სამივეში გაიმარჯვეს. მათ თანმიმდევრობით დაამარცხეს ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — 81:80 (48:42), ესენტუკის „სპარტაკი“— 76:68 (38:34) და სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 86:84 (45:37).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ გუნდების შეხვედრის მომენტი.

ა. შანიძის ფოტო.

ლიდერობს „ჟალგირისი“

კაუნასში გრძელდება უმაღლესი ლიგის იმ რვა გუნდის ასპარეზობა, რომელიც სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის იბრძვის.

თბილისის დინამოელებმა კიდევ ორი შეხვედრა ჩაატარეს და ორივეში დამარცხდნენ: ჯერ კაუნასის „ჟალგირისთან“ 69:103 (32:50), ხოლო შემდეგ მინსკის რტი-სთან 70:83 (41:44).

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „სტროიტელი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 76:66 (38:31), „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ 105:86 (47:42), რტი — ვეფ (რიგა) 102:63 (55:31), „ჟალგირისი“ —„სტროიტელი“ 108:89 (58:56), „სპარტაკი“ — ვეფ 86:73 (41:40), „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა 73:89 (35:51), „სტროიტელი“ — ცსკა 78:92 (36:47).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ თბილისელები მატჩებს ულიდეროდ, დერიუგინის გარეშე ატარებენ, გარდა ამისა, ბევრი მოთამაშე ავადმყოფობს.

ახლა ერთპიროვნული ლიდერია კაუნასის „ჟალგირისი“, რომელსაც 9 მატჩში 8 გამარჯვება აქვს. მომდევნო ადგილზე არიან მოსკოვის დინამოელები — 7 გამარჯვება. ცსკას 6 გამარჯვება აქვს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია და ალპიური კლუბი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი კინოოპერატორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი მთამსვლური ექსპედიციის მონაწილე

ბორის მიხეილის ძე კრეპსი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„სპორტლოტოს“ კეთილშობილური მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა სპორტის განვითარებას!

სპორტის იდეას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიუბილეო წელს სპორტულმა ლატარიებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს „მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შემდგომი აღმავლობის შესახებ“ პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულებაში. ახლით ათას ადამიანს საშუალება მიეცა ივარჯიშოს იმ ახალ სექციებსა და ჯგუფებში, რომლებიც გაიხსნა „სპორტლოტოსა“ და „სპრინტის“ რეალიზაციიდან შემოსული თანხებით აგებულ სპორტულ ნაგებობებში.

1982 წელი ნაყოფიერი იყო სპორტულ ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოსთვის. პირველ კვარტალში გამარჯვა რა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, კოლექტივმა მთელი საიუბილეო წლის მანძილზე არავის დაუთმო პირველობა და სამჯერ მოიპოვა საკავშირო სპორტკომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ დღეებში მოსკოვიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა: სამმართველო აღიარებულია სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად. საიუბილეო წლის გაზრდილი ვალდებულება, რომელიც სრულდებოდა დევიზით: „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს — 60 დამკვრელური კვირა!“—ვადამდე შესრულდა.

ძვირფასო მეგობრებო!

მთავრდება სპორტული ლატარიების — „სპორტლოტო-82“-ის მოყვარულთა კონკურსი, რომელშიც თამაშდება სხვადასხვა მოდელის ავტომანქანა „ჟიგული“.

კონკურსის პირობების თანახმად, „6 49“ ლატარიაში 6 სახეობის, ხოლო „5 36“-ში 5 სახეობის გამომცნობი, მოგებული თანხის გარდა ნაღდ ანგარიშზე ურიგოდ მიიღებს ავტომანქანა „ჟიგულის“ შესაძენ ტალონს.

კონკურსში მონაწილეობენ მხოლოდ საქართველოში შეძენილი ბილეთები, რომელთა შევსებული „ბვ“ ნაწილები ჩაშვებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე „სპორტლოტოს“ ყუთებში.

მანქანის მისაღები ტალონის გაცემა იწარმოებს ტირაჟიდან 10 დღის შემდეგ, 1 თვის განმავლობაში.

გათამაშებული ტირაჟების შედეგების მიხედვით „სპორტლოტოს“ ბევრი მოყვარული უკვე გახდა მანქანის მფლობელი. კონკურსში გამარჯვებულთა შორის არიან თბილისის № 51 ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო ოსტატი უშანგი გელაშვილი, თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის ბრიგადირი დავით ქებაძე, ინჟინერ-ტექნოლოგი მზია ლორთქიფანიძე, ტექნიკოსი გიორგი შავერდაშვილი, 26 კომისრის სახელობის რაიონის გამწვანების კანტორის ბრიგადირი ვახტანგ თედიაშვილი, დიასახლისები თინათინ დარასელია და ნუნუ შუბლაძე, სპი-ს დოცენტი გურამ ჩიმაკაძე, თბილისელი მანანა ვართანოვა, ზესტაფონელი ბექან ნიქაბაძე, პენსიონერები შალვა აბურჯანია, ვალერიან ქარმაზანაშვილი და არონ ციციაშვილი, კასპელი მებათქაშე გარეგინ კუდუხოვი, რუსთავის პურკომბინატის თანამშრომელი გურამ პარკაძე, გაგრელი ანდრენიკ ბეიუუკლიანი, თბილისის მთავარი ფოსტის თანამშრომლები გიორგი მელაძე და ვალიდა შუბლაძე, ხელვაჩაურელი ინჟინერ-ტექნოლოგი დავით შავაძე, ტყვიავის ღვინის ქარხნის თანამშრომელი პეტრე ჩუგიანოვი და თბილისის საპნის ქარხნის თანამშრომელი გივი შიოლაშვილი.

ამრიგად, გათამაშდა 21 ავტომანქანა. ბოლო, წინასაახალწლო 52-ე ტირაჟში 9 ადამიანს კიდევ შეუძლია მოიგოს ავტომანქანა. ოლონდაც, მანქანების შესაძენი ტალონი კონკურსის გამარჯვებულებს შეუძლიათ მიიღონ წლეულს არა უგვიანეს 29 დეკემბრისა (ჩათვლით) საქსპორტლოტოს სამმართველოში (ელიავას ქუჩა, 26).

მითითებული ვადის შემდეგ ამ საკითხზე პრეტენზიები არ მიიღება.

ახალი წლის წინ ყველა ფიქრობს რა საჩუქარი მიუძღვნას მეგობარს, ამხანაგს, ნაცნობს.

სხვათა შორის სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება „სპორტლოტოს“ ბილეთის მიძღვნა. ამ ბილეთით ხომ საახალწლოდ 10 000 მანეთის მოგება შეიძლება.

გისურვებთ წარმატებას!

იანვარში იწყება ფულისა და ნივთების ლატარია „სპრინტის“ მორიგი „ელ“ სერიის ბილეთების რეალიზაცია.

„სპრინტი“ — სწრაფი გათამაშების ლატარიაა, „სპრინტი“ — ხომ სისწრაფეს ნიშნავს!

„სპრინტი“ გამოდის სერიებად, 2 მილიონი ბილეთის რაოდენობით. ყველა ბილეთი დაბეჭდილია კონვერტებად და დალუქულია.

მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების რაოდენობა აღნიშნულია ბილეთზე.

ბილეთის გახსნისთანავე შეიძლება შედეგის გაგება.

ლატარია „სპრინტის“ ბილეთები გამოდის ორი სახის — 50-კაპიკიანი და სპეციალური გამოშვება, რომლის ღირებულებაა 1 მანეთი.

„ელ“ სერიის სპეციალურ გამოშვებაში, რომლის გაყიდვა ჩვენს რესპუბლიკაში იანვარში დაიწყება, თამაშდება 355506 ფულადი მოგებები 1 მანეთიდან 10 ათას მანეთამდე და 20 მსუბუქი ავტომანქანა, მათ შორის ორი ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ-24.

25 მანეთამდე ჩათვლით მოგებები ანაზღაურდება ადგილზე, ბილეთების გამავრცელებლებთან. აქვე, რეალიზაციის პუნქტებში შეიძლება წინა „ეზ“ სერიის ბითელები წარწერით „სპრინტის ლატარიის ბილეთი“ ახალ „ელ“ სერიაზე გადაცვლა.

შეგახსენებთ, რომ „სპრინტის“ „დნ“, „დხ“ და „ვუ“ სერიების მოგებათა განაღდება შეწყდება 1982 წლის 31 დეკემბერს.

ამ სერიის ბილეთებით 25 მანეთამდე მოგებული თანხის მიღება შეიძლება „საქსპორტლოტოს“ სამმართველოსთან არსებულ №3529/0255 შემნახველ სალაროში (ელიავას, 26, ტელ: 34-50-29) 1982 წლის 31 დეკემბრის 12 საათამდე.

მითითებული ვადის შემდეგ ლატარია „სპრინტის“ „დნ“, „დხ“ და „ვუ“ სერიის ბილეთებზე პრეტენზიები არ მიიღება.

ყველა დიდ მოგებას აანაზღაურებენ ცენტრალური შემნახველი სალაროები.

გიწვევთ რა „სპრინტში“ მონაწილეობისთვის, გთხოვთ ბილეთების რეალიზაციის ადგილებში დაიცვათ სისუფთავე და წესრიგი: წაგებული ბილეთები ჩააგდეთ სპეციალურად გამოყოფილ ყუთებში.

მონაწილეობა მიიღეთ ფულისა და ნივთების ლატარია „სპრინტში“.

გისურვებთ წარმატებას!

დიდ მოგებას გისურვებთ ახალ, 1983 წელს!

„სპორტლოტოს“ ტირაჟები 1983 წელს

1 ტირაჟი — 2 იანვარს
2 ტირაჟი — 8 იანვარს
3 ტირაჟი — 15 იანვარს
4 ტირაჟი — 22 იანვარს
5 ტირაჟი — 29 იანვარს

6 ტირაჟი — 5 თებერვალს
7 ტირაჟი — 12 თებერვალს
8 ტირაჟი — 19 თებერვალს
9 ტირაჟი — 26 თებერვალს

10 ტირაჟი — 5 მარტს
11 ტირაჟი — 12 მარტს
12 ტირაჟი — 19 მარტს
13 ტირაჟი — 26 მარტს

14 ტირაჟი — 2 აპრილს
15 ტირაჟი — 9 აპრილს
16 ტირაჟი — 16 აპრილს
17 ტირაჟი — 23 აპრილს
18 ტირაჟი — 30 აპრილს

19 ტირაჟი — 7 მაისს
20 ტირაჟი — 14 მაისს
21 ტირაჟი — 21 მაისს
22 ტირაჟი — 28 მაისს

23 ტირაჟი — 4 ივნისს
24 ტირაჟი — 11 ივნისს
25 ტირაჟი — 18 ივნისს
26 ტირაჟი — 25 ივნისს

27 ტირაჟი — 2 ივლისს
28 ტირაჟი — 9 ივლისს
29 ტირაჟი — 16 ივლისს
30 ტირაჟი — 23 ივლისს
31 ტირაჟი — 30 ივლისს

32 ტირაჟი — 6 აგვისტოს
33 ტირაჟი — 13 აგვისტოს
34 ტირაჟი — 20 აგვისტოს
35 ტირაჟი — 27 აგვისტოს

36 ტირაჟი — 3 სექტემბერს
37 ტირაჟი — 10 სექტემბერს
38 ტირაჟი — 17 სექტემბერს
39 ტირაჟი — 24 სექტემბერს

40 ტირაჟი — 1 ოქტომბერს
41 ტირაჟი — 8 ოქტომბერს
42 ტირაჟი — 15 ოქტომბერს
43 ტირაჟი — 22 ოქტომბერს
44 ტირაჟი — 29 ოქტომბერს

45 ტირაჟი — 5 ნოემბერს
46 ტირაჟი — 12 ნოემბერს
47 ტირაჟი — 19 ნოემბერს
48 ტირაჟი — 26 ნოემბერს

49 ტირაჟი — 3 დეკემბერს
50 ტირაჟი — 10 დეკემბერს
51 ტირაჟი — 17 დეკემბერს
52 ტირაჟი — 24 დეკემბერს
53 ტირაჟი — 31 დეკემბერს.

ტირაჟები გაიმართება შაბათობით.

შეგახსენებთ,

რომ თუ გსურთ დროულად მიიღოთ პასუხი, პრეტენზიების წარდგენისას ან გამოგზავნისას აუცილებლად უნდა აღნიშნოთ ბილეთის „ბ“ და „ვ“ ნაწილების ჩაშვების ზუსტი ადგილი და „სპორტლოტოს“ ყუთის ნომერი.

გახსოვდეთ, რომ ამ მონაცემების გარეშე პრეტენზიები მოგების თაობაზე არ განიხილება.

„სპორტლოტო“

ეს არის ახალი სტადიონები, აუზები, მოედნები, სპორტული კომპლექსები!



მზად ვართ გემსახუროთ!

ცნობებისთვის მოგვმართეთ: 380019, თბილისი — 19, ელიავას 26, ტელეფონები — 34-38-00; 34-53-42.

სპორტული ლატარიების რესპუბლიკური სამმართველო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54, კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 09539